



თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

დადგენილება

ქ. თელავი

N 12
24/03/2020

12-09-4-202003241912



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №16 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №16 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 03/01/2018, 010250020.35.163.016368).

1. დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების“ მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

1. მერიის სტრუქტურული ერთეულების კოორდინაცია და უზრუნველყოფა საჭირო ინფორმაციით;

2. მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან ურთიერთობა;

3. მერიის მუშაობის შედეგების საინფორმაციო ბაზის წარმართვა და ანალიზი;

4. საქმეთა ნომენკლატურის შედგენა და დაარქივება;


5. დოკუმენტაციის შეუფერხებელი ბრუნვის უზრუნველყოფა და შესრულებაზე კონტროლი;

6. შეხვედრებისა და თათბირების ორგანიზება;
7. ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის წარმოება;
8. მერიის ბლანკების, საქმისწარმოებისათვის საჭირო ბეჭდების და შტამპების გამოყენების კონტროლის უზრუნველყოფა;
9. შინაგანაწესის შესრულების კონტროლი;
10. მუნიციპალიტეტის ვებ - გვერდის ადმინისტრირება;
11. მოქალაქეთა საინფორმაციო მომსახურება;
12. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობის ორგანიზება და მერის წარმომადგენელთა მონიტორინგი;
13. მერიის თანამდებობის პირების მოსახლეობასთან და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზება, თელავის მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ პრეს-დაიჯესტის მომზადება და გამოქვეყნება;
14. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
15. მუნიციპალიტეტის ორგანოების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფა;
16. ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის, საქონლის ადგილწარმოშობის, პირის/პირების კონკრეტულ მისამართზე ცხოვრების ფაქტის დადასტურებისა და მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ ცნობების გაცემა;
17. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტის მიმართ დაკისრებული ვალდებულებების განხორციელება;
- 17¹. ამ მუხლის მე-16 პუნქტში აღნიშნული ცნობების გაცემასა და „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტის მიმართ დაკისრებული ვალდებულებების ფარგლებში შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემაზე უფლებამოსილ/პასუხისმგებელ ადმინისტრაციული სამსახურის საჯარო მოხელე(ებ)ს განსაზღვრავს მერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
18. მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების, მერის და მერიის თანამდებობის პირების დავალებების შესრულება.“.
2. დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებიდან“ ამოღებულ იქნეს მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ და „პ“ ქვეპუნქტები.

3. დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

